**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**G E O R G I A**

**CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY**

ოქმი:3/22979319

თარიღი:14/08/2024

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს სხდომის ოქმი N-03**

**დ. ლენტეხი. 13 ივლისი 2024წ.**

მიმდინარე წლის 13 ივლისს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომა ესწრებოდა ბიუროს 13 ( ცამეტი )წევრი. ბიუროს სხდომას ესწრებოდა მერიის ჯანდაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი.

ბიუროს სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი. მომხსენებელმა აღნიშნა , რომ საქმიდან გამომდინარე საკრებულოს თავმჯდომარეს სასწრაფოდ მოუხდა ბიუროს სხდომიდან გასვლა და შესაბამისად თვითონ გაუძღვება ბიუროს სხდომას. ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

**1. საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცება.**

**/მომხს: ბიუროს თავმჯდომარე დავით პირველი/**

**ბიუროს სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.**

**ღია კენჭისყრით:**

**მომხრე -13**

**წინააღმდეგი -0**

**გადაწყვეტეს: დამტკიცდეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგი.**

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სოც საკითხთა და გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომისიებმა ჩაატარეს კომისიების სხდომები. მოისმინეს ანგარიშები და დააფიქსირეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე მომართვები, რომ წარმოდგენილი ანგარიშები გათვალისწინებული იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში. შესაბამისად ჩამოყალიბდა სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

**1. მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში - 2024 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი/

**2.მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში - 2024 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი/

**3.ა.ა(ი)პ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ანგარიში - 2024 წლის ექვს თვეში გაწეული შუშაობის შესახებ.**

/მომხს: საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი/

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვა დასვა ბიუროს წევრმა მევლუდ ლიპარტელიანმა: კარგი იქნება თუ საკრებულოს სხდომისთვის გვექნება ინფორმაცია იმ ოჯახები(ეკოემიგრანტების) შესახებ, რომლებმაც მიმდინარე წელს მიიღეს დაფინანსება 30000 და ამავე დროს შეკითხვა დასვა .ა.ა(ი)პ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ანგარიშთან დაკავშირებით, თუ რატომ შეიქმნა ხოფურის საბავშვო ბაღში წყლის სისტემის პრობლემა, როცა უახლოეს პერიოდში ჩატარდა ბაღში რემონტი.

**პასუხად ხოფურის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ გასულ წლებში ბაღში ჩატარდა კოსმეტიკური რემონტი და არ იყო გათვლილი წყლის სისტემის მოწესრიგება.**

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა აღნიშნა, რომ ამომწურავი პასუხების მიღების მიზნით მორიგ სხდომაზე ანგარიშებს წარმოადგენენ თვითონ სამსახურების უფროსები და შესაბამისად ყველა შეკითხვაზე მივიღებთ ზუსტ პასუხს.

მერიის ეკონომიკური სამსახურის ანგარიშთან დაკავშირებით მომხსენებელმა დალი ტვილდიანმა აღნიშნა, რომ ძალიან ცუდი შედეგებია მოსაკრებლის ამორების კუთხით. არ ნიხდიან გადასახადებს ინდ მეწარმეები, იმ მოტივით, რომ არ აქვთ სათანადო მუშაობა.

ბიუროს წევრმა მევლუდ ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ უნდა იმოქმედონ კანონის შესაბამისად და ექნებათ შესაბამისი შედეგებიც.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

**შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა.**

**ღია კენჭისყრით:**

**მომხრე -13**

**წინააღმდეგი -0**

**გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი.**

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა დასრულდა 13 საათზე.**

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე